

## კითხვები ცალკეული თავების მიხედვით

**2. შფოთისთავი:** რა არის მუშაობის მიზანი? კარგია თუ ცუდი შრომის დაზოგვის ახალი ხერხი? რატომ? ვისზე ახდენს ეს ზეგავლენას? როგორ ხდება მსგავსი ინოვაციების აღკვეთა? მოიყვანეთ ანალოგიური ქმედების მაგალითები. ძალის გამოყენების შემთხვევაში რა ეთიკურ ასპექტებთან გვაქვს საქმე?

**3. საერთო ტრაგედია:** როგორ ეპყრობა ადამიანი იმას, რაც ყველას კუთვნილებაა? სინამდვილეში ვის ეკუთვნის ტბა და თევზი? როგორ შეიცვლებოდა დამოკიდებულება ტბა რომ მეთევზის საკუთრება ყოფილიყო? ვინ დებულობს მოგებას საერთო საკუთრებიდან? მოიყვანეთ მაგალითები. აღნიშნული საკითხის ეთიკური მხარე.

**4. სასურსათო პოლიცია:** რატომ უხდინა ზოგ ფერმერს იმისთვის, რომ შეწყვიტოს მოსავლის მოყვანა? რა გავლენას იქონიებს ეს ფასებსა და მომხმარებლისთვის პროდუქტის ხელმისაწვდომობაზე? რა ფორმის დამოკიდებულება ჩნდება ამ შემთხვევაში? მსგავსი დამოკიდებულების მაგალითები. ძალის გამოყენების ეთიკური მხარე.

**5. სანთლები და ქურქები:** რამდენად კარგია, რომ ადამიანი მზის სითბოსა და სინათლეს უფასოდ დებულობს? ვინ ეწინააღმდეგება ამას? ჩნდება თუ არა ანალოგიური წინააღმდეგობა იმპორტის მიმართ? რატომ ეწინააღმდეგება ადამიანი საქონლის შემოტანას? როგორ ხდება დაბალი ღირებულების საქონლის იმპორტის აღკვეთა? მაგალითები. პრობლემის ეთიკური მხარე.

**6. სიმაღლის გადასახადი:** რამდენად მართებულია გადასახადების შემოღება ქცევის მანიპულირების მიზნით? ცდილობს თუ არა ადამიანი მოირგოს ცხოვრება გადასახადების შემცირების მიზნით? არის თუ არა ხელისუფლება ქვეშევრდომებზე უფრო გამჭრიახი და ზნეობრივი? არის თუ არა ადამიანის სიმაღლე უსამართლობა? მაგალითები. რომელ ეთიკურ საკითხებს ეხება აღნიშნული ამბავი?

**7. შენი კედლები – სხვისი სახლი:** რამდენად მართებულია, რომ ხელისუფლებამ ჩამოართვა მფლობელს სახლი მისი თანხმობის გარეშე? თუ თანამდებობის პირს შეუძლია სხვის მიერ აშენებული სახლით სარგებლობა, მისი ჩამორთმევა ან დანგრევა, მაშინ ვის ეკუთვნის სახლი სინამდვილეში? არის თუ არა კერძო საკუთრების გადასახადი ქირის ტოლფასი? მაგალითები. ეთიკური მხარე.

**8. ორი ზოლპარკი:** რამდენად მართებულია, აიძულო ადამიანი გადაიხადოს ზოლპარკის გადასახადი? რა მიზეზით შეიძლება თქვა უარი ამ გადასახადზე? რა ზომებს იღებენ გადასახადის „ურჩი“ გადამხდელების წინააღმდეგ?

**9. ფულის წარმოება:** ფულის ბეჭდვის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვინ წყვეტს ამ საკითხს? რატომ იწვევს ფულის ბეჭდვა ხალხში განსხვავებულ რეაქციას? არის თუ არა მსგავსება ყალბი ფულის მჭრელსა და ფულის ოფიციალურად გამომშვეებს შორის? ვინ არის დამნაშავე ფასების ზრდაში? მოიყვანეთ მაგალითები. ამ საკითხის ეთიკური მხარე.

**10. ოცნების მანქანა:** ვისი ოცნება ასრულდა სინამდვილეში? რატომ? სხვაგან ხელფასებზე მოთხოვნის გაზრდამ მოუტანა თუ არა რაიმე მოგება ახალ ინდუსტრიულ ეკონომიკას? რა არის გადახდის კანონიერი საშუალების ალტერნატივა? რას ნიშნავს ფრაზა „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“?

**11. ძალაუფლებით ვაჭრობა:** რა განსხვავებაა მექრთამეობის ლეგალურ და არალეგალურ ფორმებს შორის? შეუძლიათ თუ არა პოლიტიკოსებს კანონიერად მოისყიდონ ამომრჩევლები? ამომრჩევლებს პოლიტიკოსები? რა პრობლემები უკავშირდება მექრთამეობას? რა არის ამ საკითხის ეთიკური მხარე?

**12. აურზაური თავშესაფრის გამოს:** რა ზეგავლენას ახდენს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფზე იჯარით ადების რეგულირება, სამშენებლო კოდექსი და ზონირება? როგორ იხდება ან პირიქით, ჯილდოვდება ნებისმიერი კარგი თუ ცუდი საქმიანი ინიციატივა? როგორ ხდება მათი აღკვეთა იჯარით ადების რეგულირების გზით? მოიყვანეთ მაგალითები. პრობლემის ეთიკური მხარე.

**13. დანაშაულის დამძიმება:** რა იგულისხმება ფრაზაში „დანაშაულის დამძიმება“? რა ელის მას, ვინც დაკავებისას პოლიციას წინააღმდეგობას უწევს? რა გავლენას იქონიებს კანონი პროფესიული ლიცენზირების შესახებ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფზე? ებრძვის თუ არა კანონი მონოპოლიას, თუ პირიქით, ხელს უწყობს მის განვითარებას? რატომ? მოიყვანეთ მაგალითები. რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე?

**14. დავა წიგნების გამო:** არის თუ არა წიგნების შერჩევა პროპაგანდის ან ცენზურის ტოლფასი? უნდა იხადოს თუ არა ადამიანმა გადასახადი იმ წიგნებში, რომლებიც არ მოსწონს? შესაძლებელია თუ არა ბიბლიოთეკის მუშაობა გადასახადებიდან დაფინანსების გარეშე? რა განსხვავებაა სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკებს შორის და რომელს ენიჭება მეტი უპირატესობა?

**15. სიცარიელე ხელოვნების სანაცვლოდ:** რა პრობლემებს აქვს ადგილი, როდესაც ხელოვნება გადასახადებიდან იღებს ფინანსირებას? არის თუ არა ხელოვნების ნიმუშების შერჩევა რჩეულთა პრეროგატივა? შეძლებს თუ არა თანამდებობის პირი ხელოვნების დაფინანსებისას ობიექტურობის შენარჩუნებას? იარსებებს თუ არა ხელოვნება გადასახადებიდან დაფინანსების გარეშე? რა გავლენას ახდენს ასეთი დაფინანსება მასზე? მოიყვანეთ მაგალითები. პრობლემის ეთიკური მხარე.

**16. პროცენტ-შოუ:** რატომ თვლის თამაშის ყველა მონაწილე თავს მოგებულად? რა არის სანახაობის ორგანიზატორთა ბედნიერების მიზეზი? ასეთ შოუში მონაწილეობის მიღება ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს? რა პარადელის გავლება შეიძლება ამ თამაშსა და პოლიტიკურ გარიგებას „გამიწიე სამსახური და მეც გაგიწევ სამსახურს“ შორის? მოიყვანეთ მაგალითები. რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე?

**17. ბიძია სემტა:** უბრუნებს თუ არა ბიძია სემტა ხალხს იმდენს, რამდენსაც ართმევს? რატომ არის ხალხი უკმაყოფილო, როდესაც ბიძია სემტას მათი სახლებიდან ნივთები მიაქვს? რატომ გადაწყვიტა ხელისუფლებამ შობის დღესასწაულის წეს-ჩვეულებების გაკონტროლება? რა ზეგავლენა იქონია ამან შობის ზეიმზე? მოიყვანეთ მაგალითები. რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?

**18. კუ და კურდღელი:** რა განსხვავებაა სახელმწიფო და კერძო საფოსტო სამსახურებს შორის? მონოპოლიური პრივილეგიების მინიჭება ყველაზე მეტად ვის უმართავს ხელს? უწყობს თუ არა ხელს საფოსტო მონოპოლია მოსახლეობის იოლად გაკონტროლებას? რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?

**19. მონელების მომაბეზრებელი სისტემა:** აკმაყოფილებს თუ არა პოლიტკაფეები კლიენტთა მოთხოვნებს? როგორ ხდება მენიუს შედგენა? რამდენად სამართლიანად ეპყრობიან კარგ მზარეულებს? რა მოხდებოდა, გონების საზრდოს მიმართ ისეთივე დამოკიდებულება რომ ყოფილიყო, რაც კუნძულზე საკვებთან მიმართებაში გაჩნდა? მოიყვანეთ მაგალითები. პრობლემის ეთიკური მხარე.

**20. „მომეცი შენი წარსული ან მომავალი“:** რა ურთიერთკავშირი აქვს სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას დროსთან მიმართებაში? განსხვავდება თუ არა ყაჩაღი გადასახადების ამკრეფისგან? რით განსხვავდება? არის თუ არა განსხვავებული დამოკიდებულება უმნიშვნელო და დიდი მასშტაბის დანაშაულის მიმართ? მოიყვანეთ მაგალითები. რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?

**21. ხელისუფლებათა ბაზარი:** რატომ გადაწყვიტა მოხუცმა მწყემსმა ძროხა გაეცვალა ხარში? რა მსგავსებაა ბაზარზე წარმოდგენილ ხელისუფლებათა შორის? არსებობს თუ არა ამის მაგალითები სინამდვილეში? ძალის გამოყენებისას რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე?

**22. მსოფლიოს უძველესი პროფესია:** არის თუ არა მსგავსება წინასწარმეტყველსა და ეკონომისტს შორის? ვისი პროგნოზია უფრო ზუსტი? იყენებენ თუ არა პროფესიონალები საკუთარ ნიჭს უღირსი საქმეებისთვის?

- 23. ფესსაცმლის წარმოება:** რატომ უხდინ ხალხს იმისთვის, რომ წარმოება შეაჩერონ? თავად თუ დათანხმდებოდით ისეთ სამსახურს, სადაც უქნარობაში ფულს გადაგიხდიდნენ? სხვას თუ გადაუხდიდით ამაში ფულს? არსებობს თუ არა ამის მაგალითები სინამდვილეში? რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?
- 24. აპლოდისმენტომატი:** რამდენად ლოგიკურია პოლიტიკური ლიდერების, ზნეობის, სიმდიდრის და უფლებების განსაზღვრა აპლოდისმენტებით გამოხატული ენთუზიაზმის საფუძველზე? ლოგიკურია თუ არა ზემოაღნიშნულის განსაზღვრა ამომრჩეველთა ხმების რაოდენობით? რას უნდა ეფუძნებოდეს ეთიკური პრობლემების გადაჭრა? ამის მაგალითები. რა არის საკითხის ეთიკური მხარე?
- 25. ერთგული ამომრჩეველი:** რატომ აძლევენ ხმას თანამდებობის პირებს? არიან თუ არა პოლიტიკოსები ნდობის ღირსნი? აქვს თუ არა პოლიტიკით უკმაყოფილების გამოთქმის უფლება მას, ვისაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია? შეიძლება თუ არა პარალელის გაგლება შეურაცხყოფილი მეუღლისა და შეურაცხყოფილი ამომრჩეველის ქცევებს შორის? პრობლემის ეთიკური მხარე.
- 26. საჭიროებისდა მიხედვით:** იმოქმედებდა თუ არა სტუდენტთა განათლების საერთო დონეზე სუსტი ცოდნისთვის მაღალი შეფასების მიცემა? შეიძლება თუ არა მოხდეს ანალოგიური ეკონომიკურ სისტემაშიც? ეწინააღმდეგება თუ არა სკოლაში მიღებული ცოდნა რეალურ ცხოვრებას? რა არის აღნიშნული საკითხის ეთიკური მხარე?
- 27. ცოდვებისთვის მიზღვა:** რატომ აკავებენ ხალხს მუშაობისთვის? რატომ არის ეს ზოგისთვის სასიკეთო, ზოგისთვის კი – ზიანის მომტანი? როდის არის მუშაობა უკანონო? არღვევენ თუ არა მოხალისეები კანონს სახელფასო მინიმუმის შესახებ? არის თუ არა სკოლა ან ციხე სამუშაო ადგილზე უკეთესი? რა ეთიკურ საკითხთან გვაქვს საქმე?
- 28. ახალი ახალმოსულები:** ავებენ თუ არა პასუხს მესაზღვრეები იმაზე, თუ რა ბედი ეწევა ქვეყნიდან დეპორტირებულ დევნილებს? რა განსხვავებაა ახალმოსულებსა და ახალ ახალმოსულებს შორის? რატომ? უნდა იყოს თუ არა ყველა ახალგაზრდისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა? ამის მაგალითები. რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?
- 29. დახმარება თუ ოინი?:** რატომ აგროვებენ პურს დიდ კალათში? რა არის პურის მარაგის ამოწურვის მიზეზი? რა ალტერნატივას სთავაზობს ხელისუფლება პურის დანაკლისის აღსადგენად? რომელია საუკეთესო ვარიანტი? რა გავლენას ახდენს ეს ადამიანებზე? არის თუ არა ამის მაგალითები დღევანდელ ცხოვრებაში? რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?
- 30. ვისი ბრწყინვალე იდეაა?:** შეუძლია თუ არა ჰქონდეს ვინმეს იდეით სარგებლობის საკუთრების უფლება? არის თუ არა პატენტი გამომგონებლისთვის კარგი გასამრჯელოს მიღების გარანტია? რა არის გამომგონებელთა მოტივაცია? აფერხებს თუ არა პატენტი ინოვაციების დამკვიდრებას და თავისუფლებას? როგორ შეიცვლებოდა ქცევა, პატენტი რომ არ ყოფილიყო? მოიყვანეთ მაგალითები. რა არის საკითხის ეთიკური მხარე?
- 31. სარჩელი:** რა არის პასუხისმგებლობა? რამდენად ეთიკურია პასუხისმგებლობის შეზღუდვა? როგორ იცვლება ქცევა, როდესაც პასუხისმგებლობა არ იზღუდება? რა არის საზოგადოებრივი ფასეულობა და ვინ განსაზღვრავს მას? შეიძლება თუ არა იგი ზიანის მომტანი იყოს საზოგადოებისთვის? ამის მაგალითები. რა არის პრობლემის ეთიკური მხარე?
- 32. დოქტრინერი:** ვის ეკუთვნის სიცოცხლე? აქვს თუ არა მნიშვნელობა, ვინ აირჩევს ექიმს ან იხდის მისი მომსახურების საფასურს? რა განსხვავებაა ლიცენზირებასა და სერტიფიცირებას შორის? არის თუ არა ღია კონკურენცია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი ელემენტი კარგი მედიცინისთვის? ამის მაგალითები. საკითხის ეთიკური მხარე.

**33. პირიქით:** ვის მოაქვს სხვებისთვის ზიანი? რატომ? ხომ არ შეიცავს კანონი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებს მსგავს საქმიანობასთან დაკავშირებით? რა განსხვავებაა ქმედების დაგმობასა და უკანონოდ აღიარებას შორის. მოიყვანეთ მაგალითები. რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე ძალის გამოყენების შემთხვევაში?

**34. მხიარული კენკრა:** არის თუ არა მართებული იმის კეთება, რაც სარისკოა ან ჯანმრთელობისთვის არის მავნე? უნდა იხადოს თუ არა ადამიანი სხვისი შეცდომების გამო? რა შემთხვევაში სწავლობენ ან ვერ სწავლობენ ადამიანები საკუთარ შეცდომებზე? არიან თუ არა თანამდებობის პირები მათ ქვეშევრდომებზე ბრძენნი და გამჭრიახნი? მოიყვანეთ მაგალითები. რა ეთიკურ ასპექტებთან გვაქვს საქმე?

**35. დიდი მოაზროვნე:** რა არის ვალდებულება? რამდენად საჭიროა ის ხალხისთვის? სურს თუ არა ხალხს, ჰყავდეთ ლიდერები, რომლებიც მიიღებენ გადაწყვეტილებებს მათ მაგივრად? უნდა ჰქონდეს თუ არა ადამიანს არჩევანის საშუალება იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ღირსება? მნიშვნელოვანია თუ არა ღირსება? რატომ? მაგალითები. რა ეთიკურ საკითხთან გვაქვს საქმე?

**36. დამარცხებული კანონი:** რამდენად მართებულია, რომ უდანაშაულო ადამიანი პასუხს აგებს სხვისი წარუმატებლობის გამო? რა გავლენას ახდენს ეს ორივე მხარეზე? რა უბიძგებს ადამიანს ჯანმრთელობით სიმულირებისკენ? აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა? რა შემთხვევაშია, დაშვებული აზარტული თამაშები? როდის არ არის დაშვებული? რატომ? მაგალითები. ეთიკური საკითხები.

**37. დემოკრატია ბანდა:** აქვს თუ არა გამართლება ძალის გამოყენებით სხვისი საკუთრების წართმევას? რამდენად გამართლებულია უმრავლესობის მხრიდან ძალის გამოყენება უმცირესობის მიმართ? რისი გაკეთება შეუძლია უმრავლესობას და არ შეუძლია ცალკეულ ადამიანს? როგორ შეიძლება პოლიტიკამ გამოიწვიოს აჯანყება? მოიყვანეთ ამის მაგალითები. რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე?

**38. სვავები, მათხოვრები, მატყუარები და მეფეები:** ვინ არის გაიგივებული სვავებთან, მათხოვრებთან, მატყუარებთან და მეფეებთან? რა სარგებლობა მოაქვთ მათ? უნდა იხელმძღვანელოს თუ არა ხელისუფლებამ ქცევის ისეთივე წესებით, როგორც დანარჩენებმა?

**39. მიწა თავისუფალი:** შესაძლებელია ან სასურველია თუ არა იარსებოს ისეთმა საზოგადოებამ, სადაც ძალადობასა და თადლითობას არ ექნება ადგილი? შეიძლება თუ არა ძალის გამოყენებით სხვებისთვის უტოპიური იდეების თავზე მოხვევა? როგორია განვითარების პროცესი თავისუფალ საზოგადოებაში? შეიძლება თუ არა მიზანმა გაამართლოს საშუალებები? ამის მაგალითები. რა ეთიკურ საკითხებთან გვაქვს საქმე?